



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### გოლიათი

გოლიათი, ბიბლიური პერსონაჟი, პალესტინის წინარე მოსახლეთა – რეფაიმათა (ანუ ბუმბერაზთა) შთამომავალი, რ-იც ორთაბრძოლაში შურდულით დაამარცხა ყრმა დავითმა, ისრაელის მომავალმა მეფემ, და სირცხვილისგან იხსნა თავისი ხალხი (მეფეთა, 17, 4).

ქართ. ენაში სიტყვა „გოლიათი“ ბიბლიის გავლენით განსაკუთრებულად დიდი ტანის ადამიანის მნიშვნელობით დამკვიდრდა. „ქართლის ცხოვრებაში“ გ-ებად მოიხსენიებიან ქართვე. მეფეები: ადერკი („ტანით დიდი და გოლიათი“) და ამაზასპი („კაცი ძლიერი და გოლიათი“) და ბაყათარ ოვსი.

**მ. კიკნაძე**

---